ავთანდილ თორდია

სვანეთი და ქრისტიანობა

ანოტაცია: ნაშრომში - „სვანეთი და ქრისტიანობა“ სათანადო წერილობითი წყაროების შესწავლის შედეგად განხილულია ის ეტაპები, რაც გაიარა ქრისტიანობამ I საუკუნიდან შუა საუკუნეების მთელ სიგრძეზე სვანეთში.

1. მართალია, ქრისტიანობის გავრცელება სვანეთში I საუკუნეებიდან იწყება, თუმცა, სამწუხაროდ, IX-X სს-მდე ბევრს ვერაფერს ვიტყვით ვერც ქრისტიანობის როლზე სვანების ცხოვრებაში, ვერც ქართული ეკლესიის გავლენაზე სვანეთში. სხვანაირ თვალსაზრისს არავითარი საფუძველი არ გააჩნია.

2. IX-X სს იქმნება ცაგერის საეპისკოპოსო ეპარქია, საფიქრებელია, რომ ლეჩხუმთან ერთად ცაგერელ ეპოსკოპოსს ექვემდებარებოდა სრულიად სვანეთი.

3. სვანეთის ეკლესიის გადანაწილება ცაიშელსა და ცაგერელს შორის დაკავშირებულია პოლიტიკურ ვითარებასთან და როგორც მტკიცდება: „სვანთა საერისთავო“ („სვანნი განიყვნენ ორად“) XIII ს-ის ბოლოსთვის დაიყო ორად. ასე მოხდა ეკლესიასთან კავშირშიც, ზემო სვანეთის ნაწილი, მათ შორის „ბალს ქვემო“ სვანეთი ცაიშელ ეპისკოპოსს დაექვემდებარა, ხოლო დანარჩენი სვანეთი დარჩა ცაგერელის იურისდიქციაში.

4. XVI–XVII საუკუნეებში, როგორც დადიანების და „იმერეთის მეფეების, ისე ცაიშელის და ცაგერელის გავლენა სვანეთზე მკვეთრად მცირდება. ეს კარგად იკითხება ქართულ დოკუმენტურ ძეგლებში. პატრიარქ მაკარიოსის ცნობით, ნახსენები მღვდელმთავრების გავლენა სვანეთზე მხოლოდ ფორმალური ხასიათის იყო.

5. ცაიშელისა და ცაგერელის პარალელურად XIV-XV სს-დან მაინც სვანეთის ეკლესიას მართავენ ქორეპისკოპოსები. საქორეპისკოპოსო სულ სამი იყო: 1. სეტი (მესტია) 2. „ქალაქოლა საყდარი“ (მოხაში, ქვ. სვანეთი} და 3. ზედქალაქი (ღები, XVI ს-დან ღების - ხევი რაჭის შედგენილობაში გადავიდა).

6. მიუხედავად იმისა, რომ დრომ ბევრი რამ გაანადგურა [მაგ. ხიდურისა და საჯანის დიდი მონასტრები, მთელ უძრავ-მოძრავი ქონებით], ისტორიის ქარტეხილს გადაურჩა სვანეთში ასზე მეტი ეკლესია და ათასზე მეტი იქ დაცული ძვირფასი ჯვარ-ხატი, ხელნაწერი წიგნი და სხვა, რომელიც დღეს სვანეთის ე. ი. მთლიანად საქართველოს ძვირფას საგანძურს წარმოადგენს.

ამოსავალი სიტყვები: *ანდრია პირველწოდებული, მაქსიმე აღმსარებელი, ცაგერელი და ცაგერი, ცაიში და ცაიშელი, ბალს ზემო და ბალს ქვემო სვანეთი, მუხური, სეტი, ქურაში, ლაბყალდაში, ხიდურას და საჯანის მონასტრები.*

Avtandil Tordia

Svaneti and Christianity

Annotation: The publication deals with the issues of the spread of Christianity in Svaneti. The article clarifies that during the Middle Ages – from the XIII century the church of Svaneti was divided into two parts. The church of Kvemo Svaneti was ruled by the Bishop of Tsaisheli, and the church of Zemo Svaneti – by the Bishop of Lechkhumi. In the XIV-XV centuries, Svaneti church was ruled by Chorbishops. From the XVI-XVII centuries, the influence of the kings of Imereti, Tsaisheli and Tsagereli on the church of Svaneti decreases and it becomes formal.

Tags: *Andrew the First-Called, Maxim the Confessor, Tsagereli and Tsageri, Tsaishi and Tsaisheli, Mukhuri, Seti, Kura, Labkalda, Khidur and Sajani.*

ქრისტიანობასთან დაკავშირებით სვანეთზე და სვანებზე პირველი ცნობები ბიზანტიურ წერილობით წყაროებში ჩნდება. მათ მიხედვით სვანეთში ქრისტიანობის გავრცელება უკავშირდება ანდრია პირველწოდებულის სახელს. VIII ს-ის ისტორიკოსი ეპიფანე კონსტანტინოპოლელი წერდა: „კვიპროსის ეპისკოპოსი ეპიფანე ამბობს (გადმოცემის თანახმად), რომ ნეტარმა მოციქულმა ანდრიამ დამოძღვრა სკვითები და სოგდიანები და გორსინები დიდ სებასტოპოლში, სადაც არის აფსარის ციხე, ჰისოსის ნავსადგური და მდინარე ფაზისი - იქ მოსახლეობენ იბერიელები, სუსები, ფუსტელები და ალანები“ (1: 57). სუსებს ქვეშ სვანები რომ იგულისხმებიან, კარგად ჩანს იმავე წყაროში დაცულ მეორე ცნობაში: „პენეკოსტის (ე. ი. სულიწმინდის მოფენის) შემდეგ ანდრია, სიმონ კანანელი, მათე და თადეოზი დარჩნენ იქ ავგაროზთან, დანარჩენებმა მოიარეს ქალაქები, იქადაგეს და სასწაულები მოახდინეს და ჩავიდნენ იბერიაში და ფაზისში (ლაზიკე), ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ სუ(ს)ანიაში“... (იქვე: 58) იმავე ეპიფანეს ცნობაზე დაყრდნობით ნიკიფორე ქსანთოპულოსი წერს: „დანარჩენმა მოციქულებმა მოიარეს ქალაქები, იქადაგეს და სასწაული მოახდინეს და მივიდნენ იბერიაში და ფაზისში (ლაზიკე), ხოლო ცოტა ხნის შემდეგ ჩავიდნენ სვანეთში“ (2; 115-116, აგრეთვე Migne, Potrologia graeca, t.120).

ანდრია პირველწოდებულის შემდეგ, სვანების და სვანეთის ქრისტიანობასთან დაკავშირებული ხსენება VII ს-მდე არაა დაფიქსირებული. სვანეთს (სვანეთის ციხეს) ახსენებს თეოდოსი განგრელი ნაშრომში - „მაქსიმე აღმსარებლის გადასახლება ლაზეთში“, სადაც აღნიშნავს, რომ მაქსიმე აღმსარებელი მოწაფეებთან ანასტასი აპოკრისიარი და ანასტასი II გადაასახლეს და ჩაიყვანეს - „ქრისტეს მოყვარე ლაზთა ქვეყანაში“ (აქ ლაზი, ლაზეთი იხსენიება მეგრელის, ეგრისის მნიშვნელობით - ა. თ.), მაშინვე ამ ქვეყნის მაშინდელი მმართველის განკარგულებით დააშორეს ისინი ერთმანეთს; მაქსიმე სქიომარის, ანასტასი აპოკრისიარი სკოტორის და ანასტასი მეორე ბუკულუსის (ბოკერი, კოდორის სათავეებში - ა. თ.) ციხეში მიიყვანეს. რამდენიმე დღის შემდეგ ის (მაქსიმე) და ნეტარი ანასტასი გადაიყვანეს სვანიდის (სვანეთის) ციხეში, შემდეგ ისინი გადაუყვანიათ მუკურისში (მუხურისი/მუხურიში - ა. თ.) და აქედან უკან გაუბრუნებიათ - პირველი სვანეთის ციხეში (უშგული - ა. თ.), მეორე ე. წ. თაკვირიის ციხეში (გვესოს/ცაგერის ციხე) (1; 42-43,52-56).

როგორც ვნახეთ, ქრისტიანობა სავარაუდოდ სვანეთში I ს-დან ვრცელდება, თუმცა, გარდა იშვიათი გამონაკლისისა, ისტორიულ-არქიტექტურული და ეპიგრაფიკული ძეგლები მხოლოდ IX-X სს-დან გვხვდება. რა იყო ამის მიზეზი ან იერარქიულად, ვის ექვემდებარებოდა სვანეთის ეკლესია, შედიოდა თუ არა ის ლაზიკის ეპარქიაში, რომელიც ოთხ საეპისკოპოსოდ იყოფოდა (3; 123-202) ძნელი სათქმელია. ლაზიკის ეპარქიაზე ცნობები დაცულია ეკთესისებში, რომლებიც შეიცავენ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს საეკლესიო კათედრათა ნუსხებს (ნოტიციებს) და რომელთა ავტორად ბასილი სოფენელი ითვლება. ის შედგენილია IX ს-ის I მესამედში (3; 123-125). პირველი ხუთი ეკთესისი - VII-IX სს-ით თარიღდება, იქ ეპარქიათა ჩამონათვალში დასახელებულია ლაზიკის ეპარქია, ფაზისის (ფოთი) მიტროპოლიტით სათავეში, რომელსაც ექვემდებარებოდნენ: ზიგანევის (გუდაყვა), საისინის (ცაიშის), როდოპოლისის (ვარდციხე-ვარციხე) და პეტრას (დღ. ციხისძირი ან ხოფა) ამ ოთხიდან ცაიშის და როდოპოლისის საეპისკოპოსოები ტერიტორიულად ესაზღვრებოდნენ სვანეთს, თუმცა, სამწუხაროდ, რაიმე კავშირი მათ შორის არ დგინდება. აქედან გამომდინარე, დ. მუსხელიშვილმა

გამოთქვა შემდეგი - ... „მთელ იმ ვრცელ ტერიტორიაზე, რომელიც მოიცავს სწორედ ვაკე იმერეთს, არგვეთის უდიდეს ნაწილს, რაჭა-ლეჩხუმიანად, არც ერთი ბიზანტიური საეპისკოპოსო კათედრა არ მოიხსენიება[1]. ეს გარემოება არ უნდა იყოს უმიზეზო და ამდენად, ყველაფერი ზემოთ თქმული გვაიძულებს ვიფიქროთ, რომ ამ ტერიტორიაზე უკვე მაშინ (VII-IX სს-ში) მცხეთის კათალიკოსის იურისდიქცია მოქმედებდა, ქართული ენით, ქართული მწიგნობრობით და აქედან გამომდინარე ყველა ღრმა შედეგებით“(4;152.) მსგავსი დასკვნის გასაკეთებლად წერილობითი წყარო რომ არ არსებობს, გასაგებია, მაგრამ გაუგებარია დასკვნის ის ნაწილი, სადაც დ. მუსხელიშვილი ხაზგასმით აღნიშნავს: „ზემოთ თქმული გვაიძულებს, ამ ტერიტორიაზე უკვე მაშინ VII-IX სს-ში მცხეთის კათალიკოსის იურისდიქცია მოქმედებდა“... გაუგებარია, რადგან ქართული ეკლესიის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მთელ მანძილზე ლიხს იქით 1917 წლამდე ეს „იურისდიქცია“ ცნობილი არაა, მაგრამ სულ სხვა საკითხია ... „ქართული ენით და მწიგნობრობით“, რაც მითითებული დროიდან რეალური ჩანს, ასევე რეალურია ცაგერის საეპისკოპოსო კათედრის დაარსებას IX-X სს-ით, რომ ათარიღებენ (5;14,21). დ. ბერძენიშვილი ამბობს - „აქ საინტერესო ისაა, რომ ამ ეპარქიაში ლეჩხუმთან ერთად შედიოდა ქვემო სვანეთი და ჩანს ზემოთ სვანეთის ნაწილიც... ნიშანდობლივია, რომ სვანეთის ძველი ეკლესიები უმეტესად სწორედ ამ პერიოდშია აგებული“(იქვე; 21) ე. ი. ყველა მონაცემებით ცაგერის კათედრის დაარსება, მისი კავშირი სვანეთთან IX-X სს-ზე მიგვანიშნებს[2] და ეს დაკავშირებულია ეგრის-აფხაზეთის მეფეების პოლიტიკურ თუ კულტურულ-რელიგიურ ორიენტაციასთან. ცაგერის საეპისკოპოსოს სვანეთთან დაკავშირება გასაგებია, მაგრამ არის ერთი გარემოება, ის მთლიანად ექვემდებარებოდა ცაგერელის ეპარქიას თუ ნაწილობრივ? სამწუხაროა, რომ ერთადერთი წყარო, რომელსაც ცალსახა პასუხს გვაძლევს კითხვაზე, არის ვახუშტის (XVIII ს) ცნობა: „არს ცაგერს ეკლესია დიდშენი, გუმბათიანი, ზის ეპისკოპოსი

[1] რატომ ფიქრობს ასე ავტორი გაუგებარია, რადგან როდოპოლისის კათედრა მოხირისის (დღ. ვაკე იმერეთი) და არგვეთის ტერიტორიას მოიცავდა, არაფერს ვამბობთ რაჭა-ლეჩხუმზე - ა. თ.

[2] IX-X სს, უფრო დაკონკრეტება ჭირს არქიტექტურული ანალიზით, სხვა ხელშესახები მასალა არ გაგვაჩნია, აქ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მთელი დასავლეთ საქართველოს, მათ შორის სვანეთის უძველესი წარწერები ზოგადად ასე თარიღდებიან, თუმცა IX ს-ის თარიღიანი ეპიგრაფიკული ძეგლები არ გვაქვს.

მწყემსი ლეჩხუმისა და სუანეთისა, ამას ზეით არს მონასტერი, წოდებულ მაქსიმე აღმსარებლისა და მუნ არს მაქსიმე აღმსარებელი დაფლული“ (6, 749) ვის ან რას ეყრდნობა ვახუშტი არ ვიცი, სამაგიეროდ გვაქვს უტყუარი ცნობები, რის მიხედვით, ცაიშელი ეპისკოპოსი აშკარად ფლობს ზემო სვანეთის ნაწილს ანუ ე. წ. „ბალს ქვემოთ სვანეთს“ (ძველი წყაროებით „ქვემო ხევი“, ხოლო XVIII-XIX სს-ში ე. წ. „სამთავრო“ (სადადეშკელიანო) სვანეთი ამას მოწმობს - „სიგელი სასჯელის დადებისა ცხმარის ხევზე მეფისა და დადიანის ბრძანებით, ცაიშელ მთავარეპისკოპოს დანიელის მიერ“ (1442-1452) - მე ცაიშელი მთავარეპისკოპოსი დანიელი ლაბსყელდასა მივედი, ვაკურთხე მთავარანგელოზი ლაბსყელდაშისა, დემეტრე მეფის მეფობასა შიგა, ერისთავთერისთავისა დადიანისა ოზბეგისა ბრძანებითა და მოწმეებითა, და ცხმარისა £ეუმან დაუწერეთ მთავარანგელოზსა ლაბსყელდაშისა საპატიჟო¡: ზღუდესა შიგნით სამოცდაათი ათასი თეთრი საპატიჟო¡, მას გარე საპატიჟო¡, სადა სარეკელისა ხმა¡ ისმის, რვა¡ ათასი თეთრისა მისი საპატიჟო¡... მე ცაიშელი მთავარეპისკოპოზმან დანიელ ვამტკიცე და ჩუენ ერთობილთა £ევთა ცხმარისათა, მეფეთ დადიანისა ბრძანებითა“... (7;28 და 8; 103-104). ცხმარის (ცხუმარის) ხევი ს. ლაბსყალდი „ბალს ქვემო“ სვანეთია, ზედ „ბალს ზემო“ სვანეთის საზღვართან მდებარეობს. ისმება კითხვა - როდიდან მოხდა სვანეთის ეკლესიური დაყოფა? იქნებ ჯერ კიდევ ლაზიკის სამეფოს დროიდან, ის დაყოფილი იყო ცაიშისა და როდოპოლისის საეპისკოპოსოებს შორის, სამწუხაროდ, ხელმოსაჭიდი რაიმე სახის მტკიცებულება არ ჩანს. ცაგერელის სამწყსოდან „ბალს ქვემო“ სვანეთის ცაიშელის სამწყსოში გადასვლას თითქოს ამოწმებს „ჟამთააღმწერლის“ ცნობა - XIII ს-ის 60-იან წლებში საქართველოში დავით ულუს და დავით ნარინის მომხრეებს შორის დაპირისპირების ჟამს, თურმე „სვანნი განიყვნენ ორად“ (9; 243), მაგრამ ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რეალურად სვანეთის ორ ნაწილად დაყოფა (მათ შორის ეკლესიურად) ოდნავ მოგვიანებით ხდება, როცა XIII ს-ის მიწურულს გიორგი II დადიანმა (გარდ. 1323 წ-ს), ისარგებლა დავით ნარინის ძეებს: კონსტანტინეს და მიქელს შორის დაპირისპირებით „მიიტაცა“ ცხუმის საერისთაო, მასთან ერთად ზემო სვანეთის ნაწილი (6; 801,7;157,9;295 და 10;131-133), თუმცა წყაროებით კარგად ჩანს, რომ დადიანებს არა მარტო „ბალს ქვემო“, არამედ

„ბალს ზემო“ სვანეთის სხვა თემები, მათ შორის ლატალი (11; 65) და სეტი/მესტია ექვემდებარებოდა (7; 113-114,8; 102-103,10; 165-166), მაგრამ რამდენად ემთხვეოდა დადიანთა გავლენის საზღვრებს, ცაიშელის საეპისკოპოსოს ტერიტორია ძნელი სათქმელია, თუმცა უტყუარი ცნობიდან ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ XIII ს-ის ბოლოდან სვანეთის ეკლესიის ნაწილი, ძირითადად „ბალს ქვემო“ სვანეთი ცაიშელის სამწყსოში შედიოდა, ხოლო „ბალს ზემო“ და ქვემო სვანეთი (რაჭის მთიულეთიანად) ცაგერელის საეპისკოპოსოში. ერთ საბუთში - „დაწერილი ერთობილი £ევისა ლარველს (თავრალი - ა. თ.) და უშგულს შუა“, რომელიც დათარიღებულია XIII-XIV სს-თა მიჯნით, საინტერესო და მრავლისმთქმელი ცნობაა დაცული; ამიტომ მოვიყვანეთ სრულად:... „რომელსაც ქვეყანას იყოს იმ (ქუეყანასა) რა ეკლესიისა ჰმართებდეს, აგრე არ გაიგულონ იგი ქუეყანა¡ სეტისა მთავარმოწამისაგან და მისისა შესაულისაგან გამოსრულ იყოს, და საუკუნოს ღმრთისაგან გამოსრულ იყოს, სამუნაოდ რჯულისაგან და ყოველთა ეპისკოპოსთაგან გამოსრული იყოს, თუ ქვემო ხეუს (ბალს ქვემოს - ა. თ) გამოჩნდეს ცაიშელმან დაიჭიროს რჯული, ზემომან ცაგერელმან ზემოთ (ე. ი. „ბალს ზემოთ“-ა.თ) დაიჭიროს (8; 110-111). აგრეთვე მნიშვნელოვანია - „დაწერილი ცაიშელ მთავარეპისკოპოსისა სუფის (ბეჩოს თემი, „ბალს ზემო“ სვანეთი - ა. თ.) წმ. გიორგის ეკლესიის კურთხევის შესახებ (XV ს.), სადაც ვკითხულობთ - „ქ. ყოვლად წმიდისა ცაიშის ღმრთისმშობლის თავისთვობითა და მინდობითა, ვაკურთხე სუფისა მთავარმოწამე წმ. გიორგისა მე ცაიშელ მთვარეპისკოპოსმან“... (8; 235) და მესტიის 1033 წლის ოთხთავის XVI -XVII სს-ით დათარიღებული მინაწერი: „წმიდაო ღმერთო... აცოცხლე, ადღეგრძელე ბატონი ცაგერელი“ (8; 42). ყველაფერ ამას ეწინააღმდეგება ს. კაკაბაძის მიერ 1446 წლით დათარიღებული - „სასისხლო სიგელი (ბაგრატ) მეფისა ივანე თულაძისადმი“, საბუთი ადრე გამომცემელთა მიერ XIV ს-ით თარიღდება, უკანასკნელმა აკადემიურმა გამოცემამ გაიზიარა ს. კაკაბაძისეული თარიღი (12; 29-31) ჩვენ ორივე დათარიღება დაუსაბუთებული გვგონია საბუთის ტექსტიდან გამომდინარე, თუნდაც იმიტომ, რომ კათალიკოსებს და ეპისკოპოსებს შორის ქუთათელის მომდევნოდ დასახელებულია გენათელი - ,,...გელათს გენათელი’’, ხოლო როგორც ცნობილია, გენათის ეპარქია დააარსებულია 1529 წელს, იმერეთის მეფის ბაგრატ III-

ს მიერ. ე. ი. გამოდის რომ შედგენილია 1529-1549-1550 წლებს შორის (13; 70-72, 85). ახლა მოვიყვანთ სიგელის იმ მონაკვეთს, რომელიც სვანეთს უკავშირდება: ,,...ქუთათის ქუთათელო, გელათს გენათელო, სამცხეს აწყვერელო, ოდიშს-მოქვს მოქველო, ბედიას-ბედიელო, ცაიშელო, დრანდელო, სვანეთს ცაგერელო''... (12; 31) ე. ი. გამოდის, მთელი სვანეთი ცაგერელის სამწყსოა, რაც რასაკვირველია, 1446 წლისთვის არარეალურია, მით უფრო XIV ს-თვის (საეჭვო ჩანს, მაგრამ ვერ გამოვრიცხავთ 1545-1549 წლებს შუა, როცა ლევან I დადიანი დატყვევებული იყო, როგორც იმერეთის მეფეს, ისე ცაგერელს ჰქონდათ ბალს ქვემო სვანეთზე გავლენის მოპოვების მცდელობა), ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ ნახსენებ ეპარქიებს და სვანეთის ეკლესიებს შორის დამოკიდებულება ფორმალურ ხასიათს ატარებდა განსაკუთრებით XVI-XVIII სს-ში (ასევე შესუსტდა პოლიტიკური გავლენა დადიანებისა ,,ბალს ქვემო'' სვანეთზე, როგორც იმერეთის ბაგრატიონებისა დანარჩენ სვანეთზე).

არც ერთ დოკუმენტურ წყაროში, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწიეს, მათ შორის - ,,ბიჭვინტის იადგარში'' (14; 176-183), ,,აფხაზეთის საკათალიკოზო გამოსავალი მოსაკრებლობის დავთარში'' – 1621 წ. (15; 397-437), ,,კათალიკოს მალაქიას მოლაშქრე კაცთა ნუსხაში'' – 1616-1621 წწ. (იქვე: 480-482), ,,შეწირულობის სიგელში კათალიკოს გრიგოლ ლორთქიფანიძისა ბიჭვინტისადმი'' – 1706 წ. (იქვე: 645-652) იმავე კათალიკოსის 1732 წლის (იქვე, 715-717), 1733 წლის (იქვე: 728-735) სიგელებში, არც - ,,საცაიშლო გამოსავალი მოსაკრებლობის დავთარში“ 1616-1621 წწ. (იქვე: 438-477) და არც - ,,ცაგერის საყდრის მოსაკრებლობის დავთარში“ - XVI ს-ის ბოლო (იქვე: 374-380), სვანეთის სოფლები, მაცხოვრებლები არ ჩანან და სწორედ ეს განსაზღვრავს საეკლესიო ხელისუფალთა (ბიჭვინტის - აფხაზეთის საკათალიკოსო, ცაიშისა და ცაგერის ეპარქიები) და სვანეთის ქრისტიანი მრევლის დამოკიდებულების ხასიათს თუ შინაარსს.

სვანეთის (სვანების) ქრისტიანობაზე საინტერესო ცნობები და თვალსაზრისებია დაცული არქანჯელო ლამბერტის - სვანები ქრისტიანებია და ,,ღვთის კეთილი ცხოვრების შესახებ ქადაგებას გულმოდგინედ ისმენენ'' (16; 166-167), აგრეთვე დონ ქრისტოფორო დე კასტელის, ჯუზეპე ჯუდიჩეს, ჟან შარდენის,

პარტრიარქ მაკარიოსის ნაწერებში. ჩამოთვლილი ავტორებიდან, ჩვენთვის მნიშნელოვანი შეფასება აქვს - უკანასკნელს, ის წერს: რომ ,,სვანეთის ეკლესიები კვლავ დასავლეთ საქართველოს (,,აფხაზეთის'') პატრიარქს ემორჩლებოდნენ და ცაიშელი და ცაგერელი ეპისკოპოსების სამწყსოში შედიოდნენ, თუმცა ახლა (XVII ს-ის II ნახ.) ცაიშელი და ცაგერელი ეპისკოპოსების სვანეთის სულიერ მამებად მხოლოდ ფორმალურად ითვლებოდნენ, სვანეთში არ დადიოდნენ [შდრ. - ,,მე ცაიშელი მთავარეპისკოპოსი დანიელი ლაბსყელდას მივედი, ვაკურთხე მთავარ-ანგელოზი ლაბსყელდაშისა'' (7. 28 და 8, 103-104) - 1446-47-1452 წწ. (10; 249-251)] და იქაურ ეკლესიებს ფაქტობრივად, არ ხელმძღვანელობენ'' (17; 42).

ცაიშის, ცაგერის ეპარქიებსა და სვანეთის ეკლესიას შორის რომ განსხვავებული დამოკიდებულება იყო, გვიდასტურებს ქორეპისკოპოსის ინსტიტუტის არსებობა სვანეთში. XIII-XIV სს-ით დათარიღებული წერილობითი ძეგლებიდან ვიგებთ, რომ სვანეთის ეკლესიათა საქმიანობას ქორეპისკოპოსები (,,ქვერეპისკოპოსები“) მამასახლისებთან და მოძღვრებთან ერთად წარმართავდნენ (7; 115-160).

სრულიად სვანეთში სამი საქორეპისკოპოსო ყოფილა. პირველი იყო სეტი-მესტია ზემო სვანეთში (მესტიის რაიონი) სეტის ქორეპისკოპოსები - სტეფანიანთა, სეტელიანთა (სეტიელთა) და ბაბიანთა საგვარეულოს წარმომადგენლები იყვნენ (7; 126; 136; 155). ქორეპისკოპოსის რეზიდენცია იყო სეტის - ,,მთავარმოწამის“ ეკლესია, წერილობითი წყაროების მიხედვით სეტის საქორეპისკოპოსო საყდარი ფლობდა მიწა-წყალს, მათ შორის ეკლესია-მონასტრებს. მაგ: მიქაელ კუჭაისძემ მისი ხელისუფლად დადგინების გამო ოჯახთან ერთად სეტის მთავარმოწამეს შესწირა უფანიშის (იფნაშის) მონასტერი (იელის თემში). ,,დაწერილში“ აღნიშნულია: ...,,მოგახსენეთ და შევწირეთ უფანიშის მონასტერი სეტისა მთავარმოწმამესა, მისითა შესავლითა, ყოვლითა მთითა, ბარითა, გლეხითა, სამართლიანითა მზღვრითა, მკვიდრად და სამამულოდ''... (7; 38-39) საქორეპისკოპოსო ტაძრებთან შექმნილი იყო ე.წ. ,,ქალაქები“, რომლებიც სავაჭრო და სახელოსნო ცენტრებს წარმოადგენდნენ. ერთ-ერთ საბუთში (XIV – XV სს-თა მიჯნა) წერია: - ,,მთავარმოწამე სეტისა'', - ,,მთავარმოწამე ქალაქისა''...(7; 49). გაცილებით ნაკლებია ცნობები მეორე და მესამე

საქორეპისკოპოსოებზე და ქორეპისკოპოსებზე. მე-2 საქორეპისკოპოსო იყო ქვემო სვანეთში (ლენტეხის რაიონი), ლაშხეთის თემში სოფ. მახაშთან მდებარე ე. წ. - ,,ქალაქოლა საყდარი“, სადაც სავაჭროდ უამრავი ხალხი იყრიდა თავს. (18; 55) ლაშხეთის ,,ქალაქოლასადმი'' მნიშვნელოვანი გამოკვლევაა მიძღვნილი (19). რაც შეეხება მესამე საქორეპისკოპოსოს მასზე ცნობას იძლევა ე. წ. - ,,ჯაფარიძეთა სასისხლო სიგელი'' (1503 წ.), სადაც საუბარია რაჭისთვის (ჯაფარიძეებისთვის) ,,სრულიად მთიულეთის თემის“ (,,ღების ხევის'') გადაცემაზე, რიონის სათავეებში. – ,,აწი მოგვიხსენებია გლოლას ზედათი, ცენას იქით, ოსეთს აქათ სრულიად მთიულეთის თემი მათი სამართლიანითა, მთითა, ბარითა, საყდრებითა, წყლითა, წისქუილითა, სათევზოითა სანადიროთა, ველითა, სათიბითა, მისთა მიდგომითა, მართლით სამართლიანითა, საძებრითა და უძებრითა, მისით ყოვლითა ქონდეს მკვიდრად და სამამულოდ თქვენ ჯაფარიძესა სარგის, აბესალომს და ვამიყს''... (7; 33-34 და 8; 115). ,,მთიულეთის'' თემში დასახელებულია - ,,ზედქალაქს კარგის საბატო გუმბათიანი საყდარი საეფისკოპოსო, მისით მოთუალ მარგალიტულით, ომფორითა შემკობილი, რაც ეფიზკოპოზსა და იმისთანას საყდარს ეკადრების, იმისთანას წიგნებით სრულად გათავებული ასის კუამლით კაცითა'' (იქვე 33 და იქვე).

დღემდე სვანეთში შემორჩენილია ასზე მეტი ეკლესია და ამ ეკლესიებში დაცული ათასზე მეტი ჯუარ-ხატი და საეკლესიო ნივთი, ხელნაწერი წიგნი... (20, 21, 22) ეკლესია-მონასტრები ძირითადად IX-XI სს-შია აგებული, ესაა აღმშენებლობის ხანა, თუმცა ნაკლები ინტენსივობით ის XII-XV სს-შიც გრძელდებოდა, იშვიათია XVI-XVIII სს-ს ძეგლები. უძველესი IX ს-ზე ადრეული სალოცავი სულ რამდენიმეა შემორჩენილი, მათ შორისაა მუჟალის თემის (ზ. სვანეთი) სოფ. ჩვაბიანის ,,მაცხოვრის'' ეკლესია (23; 150, 159), იელის (ელის) წმ. გიორგის ეკლესია - ,,ჯგრაგი, წვირმის, მთავარანგელოზის'' ეკლესია. რაც შეეხება ფრესკებს, ფერწერული მხატვრობა ძირითადად X-XIV სს-ში ექცევა (23 და 24), ხოლო წარწერები (ეპიგრაფიკული ძეგლები) X-XVIII სს-ით თარიღდებიან (25-26). სწორედ ამ წარწერებიდან ვიგებთ, რომ სვანეთის ეკლესია-მონასტრების დიდი უმრავლესობა აზნაურთა სხვადასხვა საგვარეულოს კუთვნილება იყო. მათ შორის - ამროლიანთა, შავლიანთა, ვახდანგიანთა, რიჩგვიანთა, ჯაფარიძეთა, გოშთელიანთა, ყიფიანთა,

იველდიანთა, ქირქიშელიანთა, ჩარკვიანთა, ფარჯანიანთა, იოსელიანთა, ჟორჟოლიანთა, დევდარიანთა... ისინი ეკლესია-მონასტრებს წირავდნენ, სხვადასხვა სახის უძრავ და მოძრავ ქონებას. სვანეთში დაცულ ისტორიულ წყაროებში მსგავსი მაგალითები მრავლად გვხვდება. მაგ.: შოშქოფ ქოცხიანმა მხერის (მუხერი, ლატალის თემი) ,,მთავარანგელოზს“ შესწირა: სასახლე, მამული ტყე-ველი მთა-გორი, სახმარი და უხმარი (21; 401 და 7; 18). სეტის (მესტია) წმ. გიორგის მონასტერს მამული შესწირა ბენდან ვახდანგიანმა: ,,დაგითუალე ჩემი სახლი, მამულ-ეკლესიანი... ტყე და ველი, მთა და ბარი, უძრავი და მოძრავი, უძებარი და საძებარი''...(7; 6-7) ზოგჯერ მთელი თემი წირავს ცნობილ ტაძარს - ,,საპატიჟოს“. დანიელ ცაიშელის სიგელში ვკითხულობთ - ,,ცხმარისა ხეუმან დაუწერეთ მთავარანგელოზსა ლაბსყალდაშისა საპატიჟო¡, ზღუდესა შიგნით სამოცდაათი ათასი თეთრი საპატიჟო¡, მას გარე საპატიჟო¡, სადა სარეკელისა ხმა¡ ისმის რვა ათასი თეთრისა მისი საპატიჟო¡ დაგვიცს''... (7; 28 და 25; 104) გვაქვს ისეთი შემთხვევა, როცა ცნობილ ტაძარს წირავენ სხვადასხვა სახის ქონებას. მსგავსი მაგალითია ზემოთ აღნიშნული უფანიშის მონასტერი, როცა შესწირეს სეტის მთავარ მოწმამეს (7; 38-39). სვანეთის ეკლესიებს წირავენ ასევე სვანეთის ფარგლებს გარეთ ყმა-მამულს, ამ შემთხვევაში აღსანიშნავია სეტისა და ქურაშის (ეცერის თემის) მთავარმოწმაბეისადმი დადიანის მიერ შეწირული...(სამწუხაროდ, მხოლოდ სეტის მაცხოვრისათვის შეწირული იკითხება ბოლომდე, ქურაშის დაწერილი დაკარგულია), სეტის მინაწერ-საბუთში კი წერია: ,,გკადრეთ და მოგახსენეთ თქვენ მთავარმოწამესა სეტისასა მე ეე˜ და მანდატურთუხუცესმან დადიანმა ხაჟიგ, მას ჟამსა ოდეს ჩვენისა გამარჯუებისათვის შემოგწირეთ და მოგახსენით წოუშხევს (დღ. სოფ. წყოუში ფახულანის თემში, წალენჯიხის რაიონი - ა. თ.) ოთხისა გლეხისა ბეგარა ცვილი-გლეხნი ესენი არიან: დაგვანა¡ ძიძია, შამიგია მიქელა¡, შამიგია ხერუხინა და დავითელა გვაგვინია (7; 113, 8, 103 და 10; 165-170).

სვანეთში იყო სამეფო და საერისთავო მონასტრები: მაგ.: ლატალის თემის ს. მაცხვარიშის ,,მაცხოვრის'' ეკლესიის ფრესკაზე - დემეტრე პირველის გამოსახვა და წარწერები სწორედ სამეფო მონასტერეზე მიგვანიშნებს (23; 43-44), სვანეთის მთავარ შავლიანთა (შალიანთა)უნდა ყოფილიყო კალის თემის სოფ. ხეში მდებარე

მონასტერი - ,,კვირიკე და ივლიტასი'' ე.წ. ,,ლაგურკა''. მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ სვანეთის ცხოვრებაში: - ადიშის, იფარის, ნაკიფარის, ცხუმარის, წვირმის, იფნაშის, ლაბსყალდის, ქურაშის, ლაჰილის (ლაილის), მუხერის (მხერის), ეცერის, უშგულის, იფხის, ლაშთხვერის, ფხოტერერის, ნესგუნის, ჟაბეშის, ზეგანის, სოლის, სვიფის, ჩვაბიანის, მურყმელის, ლეხთაგის, ლაღამის, ლახუშტის (ზემო სვანეთი), საყდრის (ძვ. არშე), თეკალის, ლუჯის, ჟიბიანის, ტვიბის, ფაყის, ღობის, ჩიხარეშის, ჩუქულის, ხერიას (ლემზაგორის), ჯახუნდერის (ქვემო სვანეთი) ეკლესიები. ე. წ. ,,ჯაფარიძეთა სასისხლო სიგელში'' მეტად საინტერესო ცნობებია დაცული ცხენისწყლის სათავეებში, მდ. ხიდურას ხეობაში მდებარე ორ მონასტერზე - ,,ამას გარეთა მოგეცით ოსეთის პირად მთიულეთს ხიდურას ოცი გლეხი, ერთი კარგი ციხე და ორი მონასტერი (7; 33 და 8; 114) ერთი (ხიდურას - ა. თ.) დიდი გუმბათიანი ,,მთავარანგელოზთ'' მონასტერი, ორით დიდი ოქროს ხატით, ოცდათვრამეტი სხვა დიდი ხატითა, თორმეტი ოქრო¡სა და ვერცხლის კანდელითა. მისით სამონასტრო წიგნებითა, დიდი გულანითა, ოთხთავითა, სამოციქულოთა, საწინასწარმეტყველო¡თა, მარხუანითა, მეტაფრასითა, დავითნითა, დავითნის თარგმანითა, ენჭეროსნით წინამძღურითა. მეორე წმიდის გიორგისა საჯანის დიდი სიონის მონასტერი, ოცდათორმეტი ჯუარ-ხატითა და რაც სამონასტრო წიგნი არის მით სრულიად გათავებული და საბატონო დეკანოზი; წინამძღუარს ოცი კუამლი კაცი და დეკანოზს რვა¡ კუამლი კაცი (7; 33 და 8; 114). სამწუხაროდ, დღეს არც ერთი მონასტერი არ არსებობს, არც სოფ. ხიდურა და არც ამ მონასტრებში დაცული ზემოთ ჩამოთვლილი უძრავ-მოძრავი განძი და ქონება, გარდა ზედქალაქის საეპისკოპოსო ტაძრისა (ღები) ,,მთიულეთის'' (დღ. ონის რაიონი, რაჭა) სოფლებში შემორჩენილია შოდას წმინდა გიორგის, ბრილის და ბუბას ეკლესიები (იქვე).

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. IV, ნაკვეთი I, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1941
2. გეორგიკა...ტ. VII ...თბ., 1967

3. გეორგიკა...ტ. IV , ნაკვეთი II ...თბ.,1952
4. დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, თბ., 1980
5. დ. ბერძენიშვილი, ი. ბანძელაძე, მ. სურამელაშვილი, ლ. ჭურღულია, ლეჩხუმი, თბ., 1983
6. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის ძეგლები ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973
7. პ. ინგოროყვა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნაკვეთი II, ტექსტები, თბ., 1941
8. სვანეთის წერილობითი ძეგლები, I, ისტორიული საბუთები და სულთა მატიანეები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და სამეცნიერო-საცნობარო აპარატი დაურთო ვ. სილოგავამ, თბ., 1988
9. ქართლის ცხოვრება, II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1959
10. ავთ. თორდია, დადიანები, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, ნაკვეთი I, თბ., 2019
11. მ. ახალაშვილი, X-XV სს. წარწერები, სვანური ჭედური ხელოვნების ძეგლებზე, თბ., 1987
12. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, III, XV ს-ის II ნახევარი, შეადგინეს: თ. ენიქიძემ, დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ. თბ., 2014
13. ავთ. თორდია, იმერეთის მეფე გიორგი II, შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, შრომების კრებული N 11, თბ., 2019
14. ქართული სამართლის ძეგლები (ქსძ), II, ის. დოლიძის რედაქციით თბ., 1965
15. ქსძ, III, …თბ.,1970
16. არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, იტალიურიდან თარგმნა ა. ჭყონიამ, თბ., 1938.
17. П. Жузе, Грузия в XVII столетий по изображению Патриарха Макария, казан, 1905
18. ეგნ. გაბლიანი, ძველი და ახალი სვანეთი, თბ.,1925

19. ა. რობაქიძე, რ. ხარაძე,, სვანეთის სოფელი ძველად, თბ., 1965
20. Д. Бакрадзе, Сванетия, ЗКОИРГО, КН. IV, Тифлис, 1864
21. ე. თაყაიშვილის, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმი-სვანეთში 1910 წ-ს, პარიზი, 1937
22. Чубинашвили Г.Н., Грузинское чеканное искуство, Тб., 1959
23. Ш. Амиранашвили, История Грузинской монументальной живописи, Т. I , Тбилиси 1957
24. Н. А. Аладашвили, Г.Б. Алибегашвили, А.И. Вольская, живописная школа Сванетии, Тбилиси, 1983
25. სვანეთის წერილობითი ძეგლები, II, ეპიგრაფიკული ძეგლები, ტექსტი...თბ.,1988
26. ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, II, დასავლეთ საქართველო, IX-XIII სს., შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვ. სილოგავამ, თბ.,1980